დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის N6 სხდომასა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის N3 სხდომაზე

მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესი

1.ზოგადი დებულებები

1.1.ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სასწავლო პროგრამებს ახორციელებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა პერსონალის მონაწილეობით.

1.2.მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

1.3.მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება ორი გზით:

ა)ღია კონკურსის წესით;

ბ)ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით;

2. ღია კონკურსის წესით მასწავლებლის სამსახურში მიღება

2.1.ფაკულტეტის დეკანი იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებელთა ღია კონკურსის წესით შერჩევის საკითხზე.

2.2.ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილ პირებთან შეთანხმებით განსაზღვრავს საკონკურსო პირობებსა და მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

2.3.ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება კონკურსის გამოცხადების თაობაზე და დამტკიცებული საკონკურსო პირობები ეგზავნება რექტორს კონკურსის გამოცხადების თხოვნით;

2.4.რექტორი იღებს გადაწეყვეტილებას კონკურსის გამოცხადების შესახებ და გამოსცემს შესაბამის ბრძანებას, სადაც ასევე განისაზღვრება საკონკურსო კომისიის შემადგენლობა.

2.5.კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებას ორგანიზებას უკეთებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;

2.6.კონკურსი შესაძლოა მოიცავდეს ტესტირების, საჩვენებელი ლექციის, ინტერვიუს და.ა.შ ეტაპებს იმის შესაბამისად, თუ რა იქნება განსაზღვრული ფაკულტეტის საბჭოს საკონკურსო პირობებში.

2.7.გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების შესახებ იღებს საკონკურსო კომისია.

3. ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით მასწავლებლის სამსახურში მიღება

3.1.ფაკულტეტის დეკანს აქვს უფლება წარადგინოს მასწავლებელთა კანდიდატურები სამსახურში მიღების მიზნით , ღია კონკურსის გარეშე.

3.2.დეკანის წარდგინებით მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების შემთხვევაში, კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

ა)შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და / ან გამოცდილება აკადემიურ სფეროში;

ბ)მინიმუმ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

3.3. მასწავლებლობის იმ კანდიდატის მიღების შემთხვევაში, რომელთანაც უნივერსიტეტს თანამშრომლობის გამოცდილება არ აქვს, ფაკულტეტის დეკანი ვალდებულია ჩაატაროს კანდიდატთან ინტერვიუ, პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომელთან ერთად.

3.4.ფაკულტეტის/სკოლის დეკანის წარდგინებით მასწავლებელთა პერსონალის სამსხურში მიღებაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.